ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

N02-18 **05.03.2018წ.**

ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით N 01.10.18.009.153 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე

პროექტის არქიტექტორი: ზურაბ დოლენჯაშვილი

შპს „პროექსპერტის“ დირექტორი თამარ კამკამიძე
ექსპერტი: მარია მარსაგიშვილი
ექსპერტი: მაია ჩხაიძე

თბილისი 2018

დამკვეთი: შპს „ეკობინა“, დირექტორი ზურაბ დოლენჯაშვილი
საპროექტო ობიექტის მისამართი: ლისის ტბის მიმდებარედ, მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით N 01.10.18.009.153
საპროექტო ობიექტი: III კლასის ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი
მშენებლობის სახეობა: ახალი მშენებლობა

შპს „პროექსპერტის“ მიერ წინამდებარე ექსპერტიზა შესრულებულია შპს „ეკობინა“-ს დირექტორთან ზურაბ დოლენჯაშვილთან 2018 წლის 16 თებერვალს გაფორმებული N06-18 ხელშეკრულების საფუძველზე.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ.გ“ და „გ.დ“ ქვეპუნქტების მიხედვით განსაზღვრული საექსპერტო დასკვნა ადგენს III, IV, V კლასების შენობა-ნაგებობების მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების არქიტექტურული ნაწილების შესაბამისობას „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან.

წინამდებარე საექსპერტო დასკვნა ადგენს ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით N 01.10.18.009.153 III კლასის ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების მე-10 თავით არქიტექტურული პროექტის შეთანხმების მიზნით მოთხოვნილი არქიტექტურული ნაწილის (შემდგომში - „პროექტი“) შესაბამისობას „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან (შემდგომში - „წესები“).

ექსპერტიზას დაექვემდებარა დამკვეთის მიერ ელექტრონულ ფორმატში წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტი. საექსპერტო დასკვნა მომზადებულია 2 თანაბარ ეგზემპლარად და სკანირებული ელექტრონული ვერსიის სახით pdf ფორმატში, ექსპერტიზის წინაშე წარდგენილი არქიტექტურული პროექტი შენახულია შპს „პროექსპერტის“ მიერ, სქემატური ნახაზები თანდართულია დამკვეთისთვის გადაცემული საექსპერტო დასკვნის ელექტრონული ვერსიაზე და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

წინამდებარე საექსპერტო დასკვნა ვრცელდება მხოლოდ დამკვეთის მიერ ექსპერტიზის წინაშე წარდგენილ არქიტექტურულ პროექტზე. ექსპერტიზას დაქვემდებარებულ არქიტექტურულ პროექტში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში საჭიროა შესრულდეს შეცვლილი არქიტექტურული პროექტის ხელახალი საექსპერტო შეფასება. ექსპერტები პასუხს არ აგებენ არქიტექტურულ პროექტში ნებისმიერი ცვლილების, ასევე მშენებლობის პროცესში წინამდებარე ექსპერტიზას დაქვემდებარებული პროექტისგან განსხვავებით სამუშაოების განხორციელების შედეგებზე.

შემადგენლობა:

1. დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება;
2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება;
3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება;
4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება;
5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება;
6. მისაწვდომობის შეფასება;
7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება;
8. სახურავის ანაწყობების შეფასება;
9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების და შემომზღუდავების შეფასება;
10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება;
11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება;
12. კიბეების და მოაჯირების შეფასება;
13. შენობის განიავებისა და განათების შეფასება.

1. დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება

პროექტით გათვალისწინებულია III კლასის სამ სართულიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, მიწისქვეშა შემოზღუდული გარაჟით.

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პირველ, მეორე და მესამე სართულებზე დაკავებულობა კლაციფიცირებულია წესების 310.5 ქვეთავის შესაბამისად როგორც საცხოვრებელი ჯგუფი სც-3, ხოლო მიწისქვეშა შემოზღუდული გარაჟისთვის 311.3 ქვეთავის შესაბამისად - სასაწყობო ჯგუფი სწ-2.

1004.1.2 ქვეთავის შესაბამისად, ფიქსირებული დასაჯდომების არმქონე ფართობების შემთხვევაში, დაკავებულობის დატვირთვა არ უნდა იყოს ნაკლები რაოდენობაზე, რომლის გამოსათვლელად იატაკის ფართობი იყოფა დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე, რომელიც სივრცის ფუნქციას 1004.1.2 ცხრილის შესაბამისად ენიჭება. 1004.1.2 ცხრილის შესაბამისად დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი საცხოვრებლისთვის (სც-3) არის 18.6 და ავტოსადგომი გარაჟისთვის (სწ-2) - 18.6. პროექტში დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორის მიხედვით ანგარიშის შედეგად დაკავებულობის დატვირთვა მიწისქვეშა შემოზღუდული გარაჟის დონეზე არის 11.9, I სართულზე - 6.5, II სართულზე - 10.2, III სართულზე - 9.9. **დაკავებულობების ჯგუფების კლასიფიკაცია შეესაბამება წესების მე-3 თავის მოთხოვნებს. დაკავებულობების დატვირთვები განსაზღვრულია მე-10 თავის მოთხოვნათა შესაბამისად.**

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება

შენობის კონსტრუქციული ტიპის შეფასება შესრულებულია წესების მე-6 და მე-7 თავების მიხედვით. წესებით განსაზღვრული კონსტრუქციის ტიპების კლასიფიკაციის შესაბამისად პროექტის მიხედვით არჩეულია შენობის VA ტიპის კონსტრუქცია. შენობის ელემენტებისათვის VA ტიპის კონსტრუქციისთვის ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები განსაზღვრულია 601-ე ცხრილის საფუძველზე: ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო - 1 სთ, მზიდი კედლები (გარე და შიგა) - 1 სთ, არამზიდი კედლები და ტიხრები (შიგა) - 0 სთ, იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები - 1 სთ, სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები - 1 სთ (არამზიდი კედლებისა და ტიხრებისთვის (გარე) მოთხოვნების შეფასებისთვის იხ. საექსპერტო დასკვნის მე-7 პუნქტი).

704.10 ქვეთავის შესაბამისად, გარე კედლების საზღვრებში ან შენობის ან ნაგებობის გარეთ მდებარე სტრუქტურულ მზიდ ნაწილებს უნდა ჰქონდეს ცეცხლმედეგობის ყველაზე მაღალი ხარისხი, შემდეგნაირად განსაზღვრული: 1. როგორც 601-ე ცხრილშია მოთხოვნილი შენობის ელემენტის ტიპისთვის, შენობის კონსტრუქციის ტიპის საფუძველზე; 2. როგორც 601-ე ცხრილშია მოთხოვნილი გარე მზიდი კედლებისათვის კონსტრუქციის ტიპი საფუძველზე; 3. როგორც 602-ე ცხრილშია მოთხოვნილი გარე კედლებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის საფუძველზე.

601-ე ცხრილის საფუძველზე, პროექტის მიხედვით ძირითად სტრუქტურულ ჩარჩოს გააჩნია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი. 602 ცხრილის მიხედვით ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების საფუძველზე მაქსიმალური ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს 1 სთ-ს (იხ. მე-7 პუნქტი – „გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება“), შესაბამისად სტრუქტურული გარე ნაწილებისთვის აუცილებელი ცეცხლმედეგობის ხარისხი არ აღემატება VA ტიპის კონსტრუქციისთვის 601-ე ცხრილით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

არჩეული კონსტრუქციის ტიპი VA შესაბამისობაშია საექსპერტო დასკვნის მე-3 პუნქტში შეფასებულ შენობის სიმაღლისა და ფართობის მაჩვენებლებთან, ხოლო სტრუქტურული გარე ნაწილების ცეცხლმედეგობა აკმაყოფილებს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის საფუძველზე განსაზრვრულ მოთხოვნებს.

შენიშვნა 1: *სადაც ცეცხლმედეგობა 601-ე ცხრილის მიხედვით უნდა განისაზღვროს, შენობის ელემენტები 703.2 ქვეთავის შესაბამის დებულებებს უნდა შეესაბამებოდეს.*

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება

შენობის მაქსიმალური სიმაღლისა და ფართობის შეფასება შესრულებულია წესების მე-5 თავის მიხედვით. 503-ე ცხრილის შესაბამისად, კონსტრუქციის VA ტიპისთვის, შენობის მაქსიმალური სიმაღლე მიწის დონის ზემოთ არის 15.2 მ, სც-3 დაკავებულობის მაქსიმალური ფართობი თითოეულ სართულზე არის შეუზღუდავი და სართულების მაქსიმალური რაოდენობა მიწის დონის ზემოთ არის 3, სწ-2 დაკავებულობის მაქსიმალური ფართობი თითოეულ სართულზე არის 1950 კვ.მ და სართულების მაქსიმალური რაოდენობა მიწის დონის ზემოთ - 4. პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი: შენობის სიმაღლე მიწის დონის ზემოთ არის 12.7 მ, სწ-2 დაკავებულობა მდებარეობს მიწისქვეშა სართულზე, რომლის ფართობიც არის 233.4 კვ.მ, სც-3 დაკავებულობა I, II და III სართულებზე, რომლების ფართობებია შესაბამისად 198.7 კვ.მ, 246.0 კვ.მ და 241.8 კვ.მ. **პროექტით გათვალისწინებული შენობის სიმაღლე, სართულების ფართობი და სართულების რაოდენობა არ აჭარბებს 503-ე ცხრილში განსაზღვრულ მაქსიმალურ მაჩვენებლებს.**

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება შესრულებულია წესების მე-10 თავის მიხედვით.

1021.2 ქვეთავის თანახმად, ნებისმიერ სართულს ან დაკავებულ სახურავს უნდა ემსახურებოდეს ორი გასასვლელი ან გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბე ან პანდუსი, თუ არსებობს ქვემოთ მოცემული პირობებიდან ერთ-ერთი:

1. დაკავებულობის დატვირთვა ან საცხოვრებელი ერთეულების რაოდენობა აღემატება 1021.2(1) ან 1021.2(2) ცხრილში განსაზღვრულ რაოდენობებს;
2. გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილი აღემატება 1021.2(1) ან 1021.2(2) ცხრილში განსაზღვრულს, როგორც დადგენილია 1016.1 ქვეთავის დებულებების შესაბამისად;
3. შენობებზე ან ნაგებობებზე შვეულმფრენის დასაჯდომად მოწყობილ ფართობებს უნდა ემსახურებოდეს ორი გასასვლელის ან გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბე ან გასასვლელთან მისადგომის პანდუსი.

ამავე ქვეთავის მე-2 გამონაკლისის შესაბამისად, დასაშვებია, სც-3 ჯგუფის დაკავებულობის შემცველ შენობებს ემსახურებოდეს ერთი გასასვლელი.

პროექტის მიხედვით, შენობიდან გასასვლელები მდებარეობს პირველ სართულზე 0.00 ნიშნულზე და შემოზღუდული გარაჟის დონეზე -3.40 ნიშნულზე, შესაბამისად **შენობიდან გასასვლელების რაოდენობისადმი მოთხოვნები არის დაკმაყოფილებული.**

1027.5 ქვეთავის შესაბამისად, შენობიდან გამოსასვლელი უნდა უზრუნველყოფდეს საზოგადოებრივ გზასთან პირდაპირ და დაუბრკოლებელ მისადგომს. -3.40 ნიშნულზე მდებარე შენობიდან გასასვლელი გადის პირდაპირ ქუჩაში/საზოგადოებრივ გზაზე გარაჟის კარის მეშვეობით. 0.00 ნიშნულზე მდებარე შენობიდან ორი გასასვლელი გადის პირდაპირ შენობის გარეთ „1-4“ ღერძებს შორის ფასადზე და „4-1“ ღერძებს შორის ფასადზე გათვალისწინებული კარების მეშვეობით, ორისვე კარის წინ გათვალისწინებულია 4 საფეხური. „ა-ბ“ ღერძებში ფასადსა და ღობეს შორის გათვალისწინებულია გასავლელი შენობის უკან მდებარე ეზოდან, საზოგადოებრივ გზასთან მისადომს უზრუნველყოფს მიწის ნაკვეთზე მდებარე კიბე და ჭიშკარი. **შენობიდან გამოსასვლელებთან დაკაშირებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

შენობის პირველი, მეორე და მესამე სართულები დაკავშირებულია გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბით, გარაჟი და პირველი სართული ასევე დაკავშირებულია გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბით, რითაც **დაკმაყოფილებული არის თითოეულ სართულზე გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბეების რაოდენობისადმი მოთხოვნები.**

1009.3 ქვეთავის მიხედვით, სართულებს შორის მდებარე იატაკის ღიობები, რომელთაც ქმნის გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბეები, უნდა იყოს შემოზღუდული. ამავე ქვეთავის მე-3 გამონაკლისის შესაბამისად, გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბეები, რომლებიც ემსახურება და მდებარეობს ცალკეული საცხოვრებელი ერთეულის ან საძინებელი ერთეულის საზღვრებში სც-1, სც-2 ან სც-3 ჯგუფის დაკავებულობებში, არ საჭიროებს შემოზღუდვას. პირველი, მეორე და მესამე სართულის დამაკავშირებელი კიბე პროექტის მიხედვით არ არის შემოზღუდული, პირველი სართულის და გარაჟის დამაკავშირებელი კიბე შემოზღუდულია გარაჟის დონეზე. ამდენად, **გზა კიბეების შემოზღუდვასთან დაკავშირებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

პროექტის მიხედვით, უზრუნველყოფილია ოთახებიდან გასასვლელები უშუალოდ გასასვლელთან მისადგომი დერეფნისკენ, და არ არის გათვალისწინებული გასვლა 1014.2 ქვეთავით გათვალისწინებულ მომიჯნავე ან შუალედურ ოთახებსა და ფართობებზე. **გასასვლელთან მისადგომები აკმაყოფილებს 1014-ე ქვეთავით გათვალისწინებულ მოთხოვნებს გასასვლელთან მისადგომებისადმი.**

საცხოვრებელი სახლის ოთახებიდან გასასვლელთან მისადგომს I, II და III სართულებზე უზრუნველყოფს დერეფნები, რომლებიც II და III სართულებზე უშუალოდ უკავშირდება გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბეს, ხოლო I სართულზე - შენობიდან გასასვლელს.

1016.2 ცხრილით განსაზღვრულია გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი, რომელიც სც დაკავებულობისთვის შეადგენს 60 მ-ს, ხოლო სწ-2 დაკავებულობისათვის - 90 მ-ს. პროექტის მიხედვით, I სართულზე (სც-3) მაქსიმალური სავალი მანძილია 18.5 მ, II სართულზე (სც-3) – 21.6 მ, III სართულზე (სც-3) – 20.9 მ, მიწისქვეშა სართულზე (სწ-2) – 33.8 მ. **მოთხოვნები გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილისადმი დაკმაყოფილებულია.**

1029.1 ქვეთავის თანახმად, 1021.2(1) და 1021.2(2) ცხრილების შესაბამისად, სც-2 ჯგუფის დაკავებულობებში, ასევე, სც-3 ჯგუფის დაკავებულობებში, მე-10 თავის მიხედვით აუცილებელ გასასვლელ საშუალებებთან ერთად უნდა მოეწყოს საავარიო გასაღწევები და სამაშველო ღიობები. მიწის დონის ქვედა სართულებისა და მიწის დონიდან მეოთხე სართულს ქვემოთ მდებარე საძინებელ ოთახებს უნდა ჰქონდეს ამ ქვეთავის შესაბამისად მოწყობილი, სულ მცირე, ერთი საავარიო გასაღწევი და სამაშველო ღიობი. თუ ერთი ან მეტი საძინებელი ოთახი მოწყობილია მიწის დონის ქვედა სართულებში, საავარიო გასაღწევი და სამაშველო ღიობი აუცილებლად უნდა ჰქონდეს ყველა საძინებელ ოთახს, მაგრამ აუცილებელი არ არის მათი არსებობა მიწის დონის ქვედა სართულის მომიჯნავე ფართობებზე. ასეთი ღიობები უნდა გადიოდეს პირდაპირ საზოგადოებრივ გზაზე, ეზოში ან საზოგადოებრივ გზაზე გამავალ შიგა ეზოში. 1029.2 ქვეთავის თანახმად, საავარიო გასაღწევისა და სამაშველო ღიობის მინიმალური

სუფთა ფართობი უნდა იყოს 0,53 მ², ხოლო 1029.2.1 ქვეთავის თანახმად, ღიობის მინიმალური სუფთა სიმაღლე უნდა იყოს 60 სმ. ღიობის მინიმალური სუფთა სიგანე უნდა იყოს 50 სმ. ღიობის მინიმალური სუფთა ზომები განისაზღვრება ღიობის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო მოთხოვნების მიხედვით.

პროექტის მიხედვით, ყველა საძინებელ ოთახს გააჩნია თავდასაღწევი ღიობები, რომლებიც განთავსებულია ქუჩის მხარე ფასადზე და გადის შენობის წინ არსებულ საზოგადოებრივ გზაზე გამავალ ტერიტორიაზე და შენობის უკან მდებარე ეზოში, რომელიც დაკავშირებულია წინა ეზოსთან „ა-ბ“ ღერძებში ფასადსა და ღობეს შორის გათვალისწინებული გასავლელით. თავდასაღწევი ღიობების ღია ნაწილების (აივნების კარები) სუფთა გაბარიტებია 64 სმ X 212 სმ და მინიმალური სუფთა ფართობია 1.36 კვ.მ, რაც აკმაყოფილებს 1029.2 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალური ფართობის მოთხოვნებს და 1029.2.1 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალური ზომების მოთხოვნებს. 1029.3 ქვეთავის თანახმად, საავარიო გასაღწევისა და სამაშველო ღიობის ქვედა ნაწილი უნდა მდებარეობდეს იატაკიდან, არაუმეტეს, 110 სმ-ით მაღლა. პროექტით აივნის მოაჯირის სიმაღლეა 115 სმ.

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება

გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება შესრულებულია წესების მე-10 თავის მიხედვით.

1005.3.1 ქვეთავის შესაბამისად, გასასვლელი საშუალებების გზა-კიბეების გამტარუნარიანობის (სმ-ში) გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა უნდა გამრავლდეს გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც 7,6 მმ-ია თითო დამკავებელზე. სადაც გზა-კიბეები ემსახურება ერთზე მეტ სართულს, ამ სართულის მომსახურე გზა-კიბეების აუცილებელი გამტარუნარიანობის გამოთვლისას მხოლოდ თითოეული სართულის ინდივიდუალური დაკავებულობის დატვირთვა გამოიყენება. პროექტის შესაბამისად მაქსილამური დაკავებულობის დატვირთვა არის II სართულზე - 10.2, შესაბამისად 10.2x7.6=77.52 მმ-ს. ამასთან, 1009.4 ქვეთავის თანახმად, გზა-კიბეების სიგანე უნდა განისაზღვროს 1005.1 ქვეთავის მიხედვით, მაგრამ ასე განსაზღვრული სიგანე არ უნდა იყოს 1.1 მ-ზე ნაკლები, ხოლო ამავე ქვეთავის 1-ელი განონაკლისის თანახმად, 50-ზე ნაკლები დაკავებულობის დატვირთვის მქონე გზა-კიბეების სიგანე არ უნდა იყოს 90 სმ-ზე ნაკლები, გარდა სც-2 დაკავებულობებისა, სადაც, სულ მცირე, ერთი გზა-კიბის სიგანე არ უნდა იყოს 1.1 მ-ზე ნაკლები. შესაბამისად, სც-3 და სწ-2 ჯგუფებში პროექტით გათვალისწინებული 10.2 დაკავებულობის დატვირთვის საფუძველზე გზა-კიბეების სიგანე არ უნდა იყოს 90 სმ-ზე ნაკლები. პროექტის მიხედვით I, II და III სართულების დამაკავშირებელი კიბის მარშის სიგანე მოაჯირსა და კედელს შორის არის 114 სმ, ხოლო მიწისქვეშა გარაჟისა და I სართულის დამაკავშირებელი კიბის მარშის მინიმალური სიგანე კედლებს შორის არის 110 სმ. „1-4“ ღერძებში ფასადზე შენობიდან გასასვლელთან მდებარე 4 საფეხურიანი გარე კიბის ყველაზე ვიწრო საფეხურის სიგანეა 200 სმ, „4-1“ ღერძებში ფასადზე შენობიდან გასასვლელთან მდებარე 4 საფეხურიანი გარე კიბის ყველაზე ვიწრო საფეხურის სიგანეა 200 სმ, ხოლო მიწის ნაკვეთზე მდებარე საზოგადოებრივ გზასთან მისადგომის უზრუნველმყოფი კიბის სიგანე კედლებს შორის 170 სმ-ია. **პროექტით გათვალისწინებული გასასვლელი საშუალებების გზა-კიბეების სიგანე უზრუნველყოფს წესებით მოთხოვნილ გამტარუნარიანობას.**

1005.3.2 ქვეთავის შესაბამისად, გასასვლელი საშუალებების კომპონენტების, გზა-კიბეების გარდა, გამტარუნარიანობის (სმ-ში) გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა უნდა გამრავლდეს გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია. II სართულის მაქსიმალურ დაკავებულობის დატვირთვისთვის, 10.2x5.1=52.02 მმ-ს, რაც ნაკლებია წესებით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებზე. შესაბამისად, გასასვლელი საშუალებების კომპონენტების მინიმალური სიგანე განისაზღვრა შემდეგნაირად:

- დერეფნის მინიმალური სიგანე 1018.2 ცხრილის მიხედვით, როდესაც დაკავებულობის დატვირთვა 50-ზე ნაკლებია, გარდა სც-2 ჯგუფის მრავალბინიანი შენობების საერთო დერეფნებისა, არის 90 სმ. **პროექტის მიხედვით, გასასვლელი საშუალებების - დერეფნების მინიმალური სიგანე შეადგენს 110 სმ-ს, რაც აღემატება მინიმალურ დასაშვებს;**
- 1008.1.1 ქვეთავის მიხედვით, გასასვლელი საშუალებების თითოეული კარის ღიობის მინიმალური სიგანე უნდა შეესაბამებოდეს დაკავებულობის დატვირთვას და უნდა უზრუნველყოფდეს, არანაკლებ, 82 სმ თავისუფალ სიგანეს. ფრთიანკარიანი გზა-კარების თავისუფალი ღიობი უნდა გაიზომოს კარის წინა მხარესა და შემჩერებელს შორის, როცა კარი ღიაა 90 გრადუსით. თუ ეს ქვეთავი მოითხოვს, სულ მცირე, 82 სმ თავისუფალ სიგანეს და კარის ღიობში ჩასმულია ორფრთიანი კარი შუალის/გამყოფის გარეშე, ერთი ფრთა ღიობის 82 სმ თავისუფალ სიგანეს უნდა უზრუნველყოფდეს. ორმხრივმოძრავი კარის ფრთის მაქსიმალური სიგანე უნდა იყოს 1,2 მ. გასასვლელი საშუალებების კარები დწ-2 ჯგუფის დაკავებულობაში, რომლებიც გამოიყენება საწოლების გასატან-გამოსატანად, უნდა უზრუნველყოფდეს 1,1 მ თავისუფალ სიგანეს. კარების სიმაღლე, არანაკლებ, 2,05 მ უნდა იყოს. ამავე ქვეთავის 1-ელი გამონაკლისის თანახმად, მინიმალური და მაქსიმალური სიგანე არ ეხება კარის ღიობებს, რომლებიც სც-2 და სც-3 ჯგუფის დაკავებულობებში აუცილებელი გასასვლელი საშუალებების ნაწილი არ არის, ხოლო მე-7 გამონაკლისის მიხედვით, დაკავებულობებში, რომლებიც არ მიეკუთვნება სც-1 ჯგუფს, მინიმალური სიგანის მოთხოვნა არ ეხება საცხოვრებელი ან საძინებელი ერთეულების შიგა გასასვლელების კარებს, თუ ეს ერთეულები მისაწვდომი ერთეული, ა ტიპის ერთეული ან ბ ტიპის ერთეული არ არის. **პროექტის მიხედვით ოთახების (გარდა სველი წერტილებისა) კარის მინიმალური თავისუფალი სიგანე შეადგენს 82 სმ-ს, ამასთან, ვინაიდან საცხოვრებელი ერთეული არ წარმოადგენს მისაწვდომ, ა ან ბ ტიპის ერთეულს, მინიმალური სიგანის მოთხოვნა არ ეხება შიგა გასასვლელების კარებს;**
- 1027.2 ქვეთავის თანაზომად, შენობიდან გამოსასვლელის გამტარუნარიანობა არ უნდა იყოს გასასვლელების აუცილებელ გამტარუნარიანობაზე ნაკლები. შენობიდან გასასვლელი 0.00 ნიშნულზე მდებარე ორივე კარის თავისუფალი სიგანე პროექტის თანახმად არის 92 სმ, ხოლო გარაჟის კარის თავისუფალი სიგანეა 280 სმ. **შენობიდან გამოსასვლელის გამტარუნარიანობა აღემატება მინიმალურ დასაშვებს.**

1027.4 ქვეთავის თანახმად, გასასვლელის შიგა ეზოები, რომლებიც გასასვლელი საშუალებების სისტემაში შენობიდან გამოსასვლელის ნაწილია, უნდა აკმაყოფილებდეს 1027-ე ქვეთავის მოთხოვნებს. 1027.4.1 ქვეთავის შესაბამისად, გასასვლელის შიგა ეზოების მინიმალური სიგანე უნდა განისაზღვროს 1005.1 ქვეთავის მიხედვით, მაგრამ არ უნდა იყოს 1,1 მ-ზე ნაკლები, გარდა აქ განსაზღვრული შემთხვევისა. გასასვლელის შიგა ეზოები, რომლებიც სც-3 და დს

ჯგუფის დაკავებულობებს ემსახურება, არ უნდა იყოს 90 სმ-ზე ნაკლები სიგანისა. გასასვლელის შიგა ეზოების აუცილებელი სიგანე ჩაუხერგავი უნდა იყოს 2,15 მ სიმაღლემდე.

პროექტის მიხედვით, შენობის უკან მდებარე ეზო, რომელშიც გადის „4-1“ ღერძებში ფასადზე მდებარე თავდასაღწევი ღიობები, დაკავშირებულია წინა ეზოსთან „ა-ბ“ ღერძებში ფასადსა და ღობეს შორის გათვალისწინებული გასავლელით, რომლის მინიმალური სიგანეა 98 სმ. **გასასვლელის სიგანე აღემატება სც-3 ჯგუფისთვის განკუთვნილი გასასვლელის შიგა ეზოსთვის დადგენილ მინიმალურ სიგანეს.**

6. მისაწვდომობის შეფასება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მისაწვდომობის შეფასება შესრულებულია წესების მე-11 თავის მიხედვით.

ქვეთავი 1103.2.4-ის თანახმად, ერთი ან ორი ოჯახის ცალკე მდგომი საცხოვრებლები და მათი დამხმარე ნაგებობები, ასევე, მათთან დაკავშირებული ადგილები და საშუალებები, არ საჭიროებს მისაწვდომობას. **პროექტში არ არის გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მისაწვდომობა, რაც შესაბამისობაშია წესების მოთხოვნებთან.**

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება

გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება შესრულებულია წესების მე-6 და მე-7 თავების მიხედვით.

გარე კედლებისათვის ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები განსაზღვრულია ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის საფუძველზე 602-ე ცხრილის მიხედვით, ხოლო გარე კედლების ღიობების მაქსიმალური ფართობი განსაზღვრულია ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის საფუძველზე 705.8 ცხრილის მიხედვით:

<u>ფასადი „4-1“ ღერძებში</u>:

სართული -3.40 ნიშნულზე:

ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი - 6.4 მ, გარე კედლის ცეცხლმედეგობის აუცილებელი და პროექტით გათვალისწინებული ხარისხი - 1 სთ, ფასადზე დასაშვები დაუცველი ღიობების მაქსიმალური ფართობი - 45%, პროექტის მიხედვით დაუცველი ღიობების ფართობი - 16%

სართული ±0.00 ნიშნულზე:

ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი - 6.4 მ, გარე კედლის ცეცხლმედეგობის აუცილებელი და პროექტით გათვალისწინებული ხარისხი - 1 სთ, ფასადზე დასაშვები დაუცველი ღიობების მაქსიმალური ფართობი - 45%, პროექტის მიხედვით დაუცველი ღიობების ფართობი - 20%

სართული +3.40 ნიშნულზე:

სეგმენტი „ა“: ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი - 5.5 მ, გარე კედლის ცეცხლმედეგობის აუცილებელი და პროექტით გათვალისწინებული ხარისხი - 1 სთ, ფასადზე დასაშვები დაუცველი ღიობების მაქსიმალური ფართობი - 25%, პროექტის მიხედვით დაუცველი ღიობების ფართობი - 25%

სეგმენტი „ბ“: ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი - 6.4 მ, გარე კედლის ცეცხლმედეგობის აუცილებელი და პროექტით გათვალისწინებული ხარისხი - 1 სთ, ფასადზე დასაშვები დაუცველი ღიობების მაქსიმალური ფართობი - 45%, პროექტის მიხედვით დაუცველი ღიობების ფართობი - 37%

სართული +6.80 ნიშნულზე:
ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი - 6.4 მ, გარე კედლის ცეცხლმედეგობის აუცილებელი და პროექტით გათვალისწინებული ხარისხი - 1 სთ, ფასადზე დასაშვები დაუცველი ღიობების მაქსიმალური ფართობი - 45%, პროექტის მიხედვით დაუცველი ღიობების ფართობი - 29%

<u>ფასადი „გ-ე“ ღერძებში</u>:

ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი - 1.2 მ, გარე კედლის ცეცხლმედეგობის აუცილებელი და პროექტით გათვალისწინებული ხარისხი - 1 სთ, ფასადზე დაუცველი ღიობები დაუშვებელია, პროექტის მიხედვით ღიობების ფართობი - 0%

<u>ფასადი „ე-გ“ ღერძებში</u>:

ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი - 0.2 მ, გარე კედლის ცეცხლმედეგობის აუცილებელი და პროექტით გათვალისწინებული ხარისხი - 1 სთ, ფასადზე ღიობები დაუშვებელია, პროექტის მიხედვით ღიობების ფართობი - 0%

<u>ფასადი „1-4“ ღერძებში</u>:

სართული -3.40 ნიშნულზე „1-1[1]“ ღერძებში:
ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი - 4.8 მ, გარე კედლის ცეცხლმედეგობის აუცილებელი და პროექტით გათვალისწინებული ხარისხი - 1 სთ, ფასადზე დასაშვები დაცული ღიობების მაქსიმალური ფართობი - 75%, პროექტის მიხედვით დაცული ღიობების ფართობი - 68%

სართული -3.40 ნიშნულზე „1[1]-4“ ღერძებში:
ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი - 14.4 მ, გარე კედლის ცეცხლმედეგობის აუცილებელი და პროექტით გათვალისწინებული ხარისხი - 0 სთ, ფასადზე დასაშვები დაუცველი ღიობების მაქსიმალური ფართობი - შუზღუდავი

სართული ±0.00 ნიშნულზე და ზემოთ:
ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი - 13.2 მ, ფასადზე დასაშვები დაუცველი ღიობების მაქსიმალური ფართობი - შუზღუდავი.

შენიშვნა 2: *ცეცხლმედეგი კედლები მოეწყოს წესების 706 ქვეთავის მიხედვით, დაცული ღიობები მოეწყოს წესების 716-ე ქვეთავის მიხედვით.*

705.11 ქვეთავის თანახმად, შენობის გარე კედლებს პარაპეტები უნდა ჰქონდეს. 705.11.1 ქვეთავის თანახმად, პარაპეტებს ცეცხლმედეგობის ისეთივე ხარისხი უნდა ჰქონდეს, როგორიც აუცილებელია საყრდენი კედლისათვის. სახურავის ზედაპირის მოსაზღვრე ნებისმიერ მხარეს, მაქსიმუმ, 46 სმ სიმაღლეზე, პარაპეტის ზედაპირი უნდა იყოს არაწვადი მასალის, არაწვადი უნდა

იყოს ასევე გადამფარავი ჰიდროიზოლაცია და ლავგარდანის (კარნიზის) მასალები. პარაპეტის სიმაღლე არ უნდა იყოს 76 სმ-ზე ნაკლები იმ წერტილიდან, სადაც სახურავის ზედაპირი და კედელი ერთმანეთს კვეთს. თუ პარაპეტისკენ დახრილი სახურავის ქანობები აღემატება ორ შვეულ ერთეულს თორმეტ თარაზულ ერთეულზე (2 : 12) (16,7% ქანობი), პარაპეტი ისეთივე სიმაღლეზე უნდა გაგრძელდეს, როგორზეც ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის საზღვრებში მოქცეული სახურავის ნებისმიერი ნაწილი, სადაც აუცილებელია კედლის ღიობების დაცვა, მაგრამ მისი სიმაღლე არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს 76 სმ-ზე ნაკლები.

პროექტით გათვალისწინებული პარაპეტების მოწყობა ოთხივე მხრიდან, პარაპეტის მინიმალური სიმაღლეა 76 სმ, პარაპეტების ცეცხლმედეგობის ხარისხი 1 სთ (გარდა ქუჩის მხარე ფასადისა, რომლის კედელს და შესაბამისად პარაპეტსაც არ სჭირდება ცეცხლმედეგობის ხარისხი) შეესაბამება გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხს, რითაც **დაკმაყოფილებულია პარაპეტის ცეცხლმედეგობასთან და სიმაღლესთან დაკავშირებული მოთხოვნები.**

შენიშვნა 3: *პარაპეტები მოეწყოს წესების 705.11.1 ქვეთავის ყველა მოთხოვნის დაცვით.*

705.8.5 ქვეთავის შესაბამისად, თუ ღიობები ერთმანეთისგან დაშორებულია 1,5 მ-ის საზღვრებში თარაზულად და ქვედა სართულის ღიობი არ არის ¾ სთ-იანი (45 წთ) ცეცხლისაგან დაცვის ხარისხის მქონე დაცული ღიობი, მომიჯნავე სართულებზე გარე კედლების ღიობები უნდა გაიმიჯნოს შვეულად, რომ შენობების გარე კედლებზე ცეცხლი არ გავრცელდეს. ასეთი ღიობები შვეულად უნდა გაიმიჯნოს, სულ მცირე, 90 სმ-ით, სპანდრელით (შეკიდული კედლის ნაწილი), გარე კედლებით ან სხვა მსგავსი ანაწყობებით, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი სულ მცირე, 1 საათია, ან ალის ზღუდარებით, რომლებიც ვრცელდება თარაზულად გარე კედლიდან სულ მცირე, 76 სმ-ზე. ალის ზღუდარების ცეცხლმედეგობის ხარისხი, სულ მცირე, 1 საათი უნდა იყოს. შეზღუდვები ზედაპირებისთვის, რომლებზეც არ ზემოქმედებს ASTM E 119-ში ან UL 263-ში მითითებული ტემპერატურები, არ ეხება ალგაუმტარ ზღუდარებს ან შვეულ გამმიჯნავს, თუ წესების დებულებები სხვაგვარად არ მოითხოვს. ამავე ქვეთავის 1-ელი გამონაკლისის თანახმად, ეს ქვეთავი არ ეხება მიწის დონიდან სამ ან სამზე ნაკლებსართულიან შენობებს. პროექტით გათვალისწინებულია მიწის დონიდან სამ სართულიანი შენობის მშენებლობა, შესაბამისად 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნები მას არ ეხება.

705.2 ქვეთავის შესაბამისად, ლავგარდანები (კარნიზები), სახურავის ნაშვერები, გარე აივნები და მსგავსი ნაშვერები, რომლებიც გარე კედლის მიღმა გრძელდება, ამ ქვეთავისა და 1406-ე ქვეთავის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. გარე გასასვლელის აივნები და გარე გასასვლელის გზა-კიბეები, ასევე, 1019-ე და 1026-ე ქვეთავებს უნდა შეესაბამებოდეს. ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის ასათვლელად, ნაშვერები არ უნდა უახლოვდებოდეს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის ასათვლელ ხაზს 705.2 ცხრილში მითითებულ მანძილზე მეტად.

პროექტის მიხედვით, გათვალისწინებულია აივნები და გარე გასასვლელის გზა-კიბეები ფასადებზე „1-3“ ღერძებში და „3-1“ ღერძებში. მანძილი ხაზიდან, რომლიდანაც აითვლება ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი, აღემატება მინიმალურ 1.0 მ-ს, შესაბამისად **705.2 ცხრილში მოცემული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

შენიშვნა 4: *გარე კედლების მოსაფირკეთებელი მასალების მოწყობა განხორციელდეს წესების მე-14 თავის მოთხოვნების მიხედვით.*

8. სახურავის ანაწყობების შეფასება

პროექტის მიხედვით შერჩეულია B კლასის სახურავის ანაწყობი და ბურული, რაც შეესაბამება 1505.1 ცხრილით განსაზღვრულ მოთხოვნებს მინიმალური ბურულისადმი კონსტრუქციის VA ტიპისათვის.

შენიშვნა 5: *1505.3 ქვეთავის თანახმად:*
B კლასის სახურავის ანაწყობები. B კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას.

1503.2 ქვეთავის თანახმად, ჰიდროიზოლაცია ისე უნდა მოეწყოს, რომ კედლისზედა ბურულების გადაბმების, ნესტგამტარი მასალების, პარაპეტის კედლების გადაკვეთის ადგილებისა და სახურავის ზედაპირზე არსებული სხვა ღიობების გავლით ნესტმა ვერ შეაღწიოს კედელსა და სახურავში, ხოლო 1503.2.1 ქვეთავის თანახმად, ჰიდროიზოლაცია უნდა მოთავსდეს კედლისა და სახურავის გადაკვეთის ადგილებში, წყალსადინარ არხებთან, სახურავის ქანობის ან მიმართულების შეცვლის ადგილებში, ასევე, სახურავის ღიობების გარშემო. ლითონის ჰიდროიზოლაცია უნდა იყოს კოროზიამედეგი და, არანაკლებ, 0,5 მმ სისქისა (No. 26 გალვანიზებული ფურცლისა). 1503.3 ქვეთავის შესაბამისად, კედელზედა ბურული. პარაპეტის კედლები სათანადოდ უნდა დაიფაროს არაწვადი, წყალგაუმტარი მასალებით, რომელთა სისქე პარაპეტის კედლების სისქეზე ნაკლები არ უნდა იყოს. **ზემოაღნიშნული მოთხოვნები გათვალისწინებულია პროექტში.**

შენიშვნა 6: *სახურავის მოწყობისას გათვალისწინებული იქნეს წესების მე-15 თავით განსაზღვრული სახურავების აგებასთან დაკავშირებული მოთხოვნები.*

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების და შემომზღუდავების შეფასება

დაკავებულობების აუცილებელი გამიჯვნა განსაზღვრულია 508.4 ცხრილის მიხედვით. სც ჯგუფსა და სწ-2 ჯგუფს შორის ცხრილის მიხედვით აუცილებელია 1 სთ-იანი გამიჯვნა ავტოსაშხეფი სისტემით და 2 სთ-იანი გამიჯვნა ავტოსაშხეფი სისტემის გარეშე, ამასთანავე, ცხრილის სქოლიოში მოცემული „ბ“ პუნქტის თანახმად, ფართობებზე, რომლებიც გამოყენებულია მხოლოდ კერძო ან გასართობი ავტომობილებისათვის, დასაშვებია გამმიჯნავის ცეცხლმედეგობის ხარისხის შემცირება 1 სთ-ით, ხოლო „გ“ პუნქტი ამისამართებს წესების 406.1.4 ქვეთავში, რომელიც წესებში არ არსებობს. 508.4 ცხრილის სქოლიოს „ბ“ პუნქტის დაცვით, პროექტი ითვალისწინებს მხოლოდ კერძო ავტომობილებისთვის განკუთვნილი გარაჟის გამიჯვნას სც-3 ჯგუფისგან 1 სთ-იანი ცეცხლმედეგობის მქონე გამმიჯნავებით.

შენიშვნა 7: *406.3.4 ქვეთავის შესაბამისად, კერძო გარაჟის გამიჯვნები უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ პირობებს:*
1. კერძო გარაჟი საცხოვრებელი ერთეულისა და მისი სხვენის ფართობისაგან უნდა გაიმიჯნოს, არანაკლებ, 1,25 სმ სისქის თაბაშირის ფილით, რომელიც გარაჟის მხარესაა მიკრული. საცხოვრებელი ოთახების ქვეშ მდებარე გარაჟები ამ ოთახებისგან გამოყოფილი უნდა იყოს X ტიპის, არანაკლებ, 1,5 სმ სისქის თაბაშირის ფილით ან შესაბამისი მასალით და 1,25 სმ სისქის თაბაშირის ფილით, რომელიც გარაჟისა და მის თავზე მდებარე საცხოვრებელი ოთახების გამმიჯნავ საყრდენ სტრუქტურაზეა მიმაგრებული. კარის ღიობებში კერძო გარაჟსა და საცხოვრებელ ერთეულს შორის უნდა ჩააყენონ მასიური ხის კარი, მასიური ან ფიჭისგულა

ფოლადის კარი, არანაკლებ, 3,5 სმ სისქისა, ან კარი, რომელიც შეესაბამება 716.5.3 ქვეთავის დებულებებს და რომლის ცეცხლისგან დაცვის ხარისხი არის, არანაკლებ, 20 წუთისა. დაუშვებელია, კერძო გარაჟის ღიობები გადიოდეს პირდაპირ საძინებელ ოთახში. კარები თავისით უნდა იხურებოდეს და იკეტებოდეს.
2. კერძო გარაჟებში მდებარე არხები, ასევე, გარაჟის, საცხოვრებელი ერთეულისა და სხვენის გამმიჯნავ კედლებში ან ჭერში გამავალი არხები უნდა დამზადდეს, არანაკლებ, 0,5 მმ სისქის ფურცლოვანი ფოლადისგან და არ უნდა ჰქონდეს გარაჟში შემავალი ღიობები.
3. იმ შემთხვევაში, თუ გადახურული ავტოსადგომი ორი ან მეტი მხრიდან ღიაა და მის თავზე არ არის შემოზღუდული ფართობები, მაშინ სც-3 ჯგუფისა და დს ჯგუფის გადახურული ავტოსადგომის გამიჯვნა საჭირო არ არის.

1018.1 ქვეთავის თანახმად, დერეფნების ცეცხლმედეგობის ხარისხი განისაზღვრება 1018.1 ცხრილის მიხედვით. დერეფნის კედლები, რომელთაც მოეთხოვება ცეცხლმედეგობის ხარისხი, უნდა აიგოს 708-ე ქვეთავის შესაბამისად, რომელიც ეხება ცეცხლმედეგ ტიხრებს, ხოლო ამავე ქვეთავის მე-2 გამონაკლისის თანახმად, ცეცხლმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვება დერეფნებს, რომლებიც მდებარეობს სც ჯგუფის დაკავებულობის საცხოვრებელ ან საძინებელ ერთეულში. პროექტის მიხედვით დერეფნები წარმოადგენს სც-3 ჯგუფის საცხოვრებელი ერთეულის დერეფნებს, შესაბამისად აღნიშნულ დერეფნებს ცეცხლმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვება.

713.4 ქვეთავის თანახმად, შახტის შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი, არანაკლებ, 2 საათი უნდა იყოს, თუ ისინი აკავშირებს ოთხ ან მეტ სართულს და, არანაკლებ, 1 საათი, თუ ოთხზე ნაკლებ სართულს აკავშირებს. შახტით დაკავშირებული სართულების რაოდენობაში მიწის დონის ქვედა სართულებიც უნდა ჩაითვალოს, მაგრამ არა - ანტრესოლები. შახტის შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი მათ მიერ გადაკვეთილი იატაკის კონსტრუქციების ცეცხლმედეგობის ხარისხზე ნაკლები არ უნდა იყოს, თუმცა აუცილებელი არ არის, 2 საათს აღემატებოდეს. შახტის შემომზღუდავები 703.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. 713.6 ქვეთავის შესაბამისად, თუ გარე კედლები შახტის აუცილებელი შემომზღუდავის ნაწილია, ისინი 705-ე ქვეთავის (გარე კედლების შესახებ) მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. ამ შემთხვევაში ცეცხლმედეგობის ხარისხიანი შემომზღუდავთან დაკავშირებული მოთხოვნები არ გამოიყენება.

პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია 2 სთ-იანი ცეცხლმედეგობის ხარისხიანი შახტების შემომზღუდავები, გარდა იმ გარე კედლებისა, რომლებიც შახტის შემომზღუდავის ნაწილია და რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 705-ე ქვეთავის (გარე კედლების შესახებ) მოთხოვნების შესაბამისად - 1 სთ.

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების და შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეესაბამება წესების შესაბამის მოთხოვნებს.

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება

ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება შესრულებულია წესების მე-9 თავის მიხედვით.

903.3.8 ქვეთავის შესაბამისად, სც ჯგუფის დაკავებულობები მთლიანად უზრუნველყოფილი უნდა იყოს 903.3 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემით, ხოლო ამავე ქვეთავის მე-2 გამონაკლისი მოიცავს ერთ ან ორბინიან საცხოვრებელ შენობებს. 903.2.10 ქვეთავის („სწ-2 ჯგუფის შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟები“) თანახმად, ავტოსაშხეფი სისტემით უზრუნველყოფილი უნდა იყოს მთელი შენობა, რომელიც მიეკუთვნება შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟების კლასს 406.4 ქვეთავის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილის მიხედვით: 1. სადაც შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟის ხანძრისგან დაცული ფართობი 1200 $მ^2$-ს აღემატება; 2. შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი სხვა ჯგუფების ქვემოთ

მდებარეობს. ამავე ქვეთავის 1-ელი გამონაკლისი მოიცავს სც-3 დაკავებულობების ქვემოთ მდებარე შემოზღუდულ ავტოსადგომი გარაჟებს. **პროექტით არ არის გათვალისწინებული სც-3 ჯგუფის ერთბინიან საცხოვრებელ სახლში და სწ-2 ჯგუფის შემოზღუდულ ავტოსადგომ გარაჟში ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობა, რაც შესაბამისობაშია წესების მოთხოვნებთან.**

904-ე ქვეთავით არ არის მოთხოვნილი პროექტით გათვალისწინებულ დაკავებულობის ჯგუფებში და/ან შენობის ნაწილებში ალტერნატიული ავტომაური ცეცხლსაქრობი სისტემის დაყენება.

905. 3 ქვეთავის თანახმად, სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დააყენონ 905.3.1 – 905.3.8 ქვეთავებში მოთხოვნილ ადგილებში. შეიძლება სახანძრო მილდგარების სისტემები ავტოსაშხეფ სისტემებთან გაერთიანდეს. ამავე ქვეთავის გამონაკლისის მიხედვით, სახანძრო მილდგარების სისტემები საჭირო არ არის სც-3 ჯგუფის დაკავებულობებში. 905.3.1 – 905.3.8 ქვეთავებში არ არის გათვალისწინებული სც-3 ჯგუფის ქვეშ მდებარე შემოზღუდულ ავტოსადგომ გარაჟში მილდგარების მოწყობა. **პროექტით არ არის გათვალისწინებული შენობაში მილდგარების მოწყობა, რაც შესაბამისობაშია წესების მოთხოვნებთან.**

906.1 ქვეთავის 1-ელი პუნქტის თანახმად, ხელის ცეცხლმაქრები უნდა განთავსდეს თვ, სქ, სგ, სმ, დსშ, დწ, სვ, სც-1, სც-2, სც-4 და სწ ჯგუფების დაკავებულობებში, შესაბამისად, პროექტით გათვალისწინებულია სწ-2 ჯგუფის გარაჟში ცეცხლმაქრების განთავსება.

შენიშვნა 8: *ცეცხმაქრების ზომა და განაწილება განისაზღვროს წესების 906.3 ქვეთავის შესაბამისად.*

